ი 14/1690 PX 4911/1.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ციხე

Тбилисская крепость

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველო

თბილისის ციხე

თბილისის უძველესი ქალაქური მოსახლეობის გაჩენასთან ერთად, ჯერ კიდევ IV საუკუნეში წარმოიშვა თბილისის ციხე-სიმაგრე კალა, რომელიც ციხე-კოშკებისა და კედლების რთული კომპლექსისაგან შედგებოდა. კალას ერთი კედელი წავკისის წყლის (ახლანდელი დაბა-ხანის) პარალელურად გადიოდა და თავდებოდა სოლოლაკის ქედზე კალას ციხე-სიმაგრით, ციტადელით, რომლის ნანგრევები დღესაც დაჰყურებს ქალაქს. ესაა თბილისის უძველესი ციხე, „შურის ციხედ“ წოდებული.

„შურის ციხე“ მრავალჯერ დაინგრა, განახლდა და გადაკეთდა. ამჟამად ამ ციხის მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. მას სახელიც შეეცვალა და ამ მიდამოებს დღეს „ნარიყალას“ ეძახიან. „ნარიყალა ციხე“ საქართველოში ბევრია. ზოგი ფიქრობს, რომ „ნარიყალა ციხე“ უმცროს, მცირე ციხეს ნიშნავს. ზოგის აზრით კი „ნარიყალა“ მიუვალ ციხეს უნდა ნიშნავდეს.

ნარიყალადან ქალაქის ციხის მეორე კედელი ეშვებოდა, რომელიც მტკვრის ნაპირამდე აღწევდა (მეტეხთან). დასავლეთიდან ნარიყალას ძლიერი ციხე ე. წ. „შაჰის ტახტი“ იცავდა; შაჰის ტახტთან ნარიყალა კედლით იყო შეერთებული. ამ შაჰის ტახტის ნანგრევები ახლანდელი კომკავშირის ხეივნიდან დაჰყურებს ქალაქს. შაჰის ტახტში ჯერ კიდევ VI-IX საუკუნეში ობსერვატორია ყოფილა. ქართველი მეცნიერები ამ ობსერვატორიიდან თვალყურს ადევნებდნენ ციურ მნათობთა მოძრაობას და სწავლობდნენ მათ.

XVII საუკ. შუა წლებამდე ციტადელი ქართლის სამეფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო მეფის სასახლე, ციხის საყდარი და სხვა ნაგებობანი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის უმნიშვნელოვანესი სამხედრო დანიშნულების ნაგებობანი ნარიყალაში იყო თავმოყრილი. თვითონ ნარიყალა შტკიცე კედლებით იყო გამაგრებული. მასში თოთავსებული იყო საარტილერიო საჭურვლის შესანახი. მის დასავლეთით „სამეფო ქალაქის კოშკი“ იყო, მის პირდაპირ ე. წ. „თავრიზის კოშკი“. „თავრიზის კოშკში“ თოფის წამლის შესანახი იყო, აგრეთვე წყალსაცავი, რომელშიც წყალი არხით შემოდიოდა წავკისიდან. „თავრიზის კოშკით“ უკავშირდებოდა ნარიყალა ქალაქის სიმაგრის მეორე უბანს, ე. წ. „ციხეს“.

თბილისის ციხე უცხოელ დამპყრობთაგან იცავდა საქართველოს დედაქალაქს, აქ იყო თავმოყრილი ქვეყნის მთავარი ძალები. მაგრამ საქართველოში გაბატონებული დამპყრობლებიც ამ ციხეში ცდილობდნენ ფეხის მოკიდებას, თავისთვის ამაგრებდნენ მას და აქედანვე სურდათ გაევრცელებინათ თავისი ბატონობა ქართველ ხალხზე.

არის გადმოცემა, თითქოს „შურის ციხე“ სპარსელებმა ააგეს ქართლის სამეფოს დედაქალაქის მცხეთის ციხის საპირისპიროდ, თითქოს აქედანვეა წარმოდგარი მისი სახელწოდებაც „შურის ციხე“.

IV-V საუკ. ამ ციხეში ირანელი მოხელე იჯდა. ირანელთა განდევნის შემდეგ აქ ჯერ ქართლის მეფეების, ხოლო შემდეგ ქართლის ერისმთავრების რეზიდენცია იყო. ამ ციხეში გამაგრებულნი ებრძოდნენ VII საუკ. ქართველები ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს და მის მოკავშირე ხაზართა ხაკანს, დასცინოდნენ მათ ამ ციხის კედლებიდან.

თბილისის ციხეს არაერთხელ დაუცავს საქართველოს დედაქალაქი მოძალადეებისაგან და გადაურჩენია მოსახლეობა დარბევა-აწიოკებისაგან. უკანასკნელად 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის ბრბოებს დაუხვდა თბილისის ციხე.

თურქ-ოსმალთა და ირანელთა თარეშს მხოლოდ 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთებამ დაუდო ბოლო. საქართველომ შედარებით მსუბუქად ამოისუნთქა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ნარიყალამაც დაკარგა თავისი მნიშვნელობა და რუსეთის ხელისუფლებამ დაანგრევინა კიდეც ის. დღეს თბილისის ციხის ნანგრევები დასცქერიან საქართველოს აყვავებულ დედაქალაქს და წარსულის მწარე მოგონებადღა რჩებიან.

ავტორი მ. ლორთქიფანიძე. რედაქტორი ზ. ძნელაძე

თბილისი. სახელგამი. 1957.

უე 01440 ტირ. 15.000 შეკვ. № 415. ფასი 70 კ.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილი, 5.

УПРАВЛЕНИЕ ПО ДЕЛАМ ОХРАНЫ И РЕСТАВРАЦИИ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИССКАЯ КРЕПОСТЬ

С появлением древнейшего городского населения Тбилиси, уже в IV в. воздвигается крепость Кала, состоящая из сложного комплекса башен и стен. Одна стена крепости Кала шла параллельно р. Цавкиси (теперь Даба-Хана) и на Сололакском хребте заканчивалась цитаделью, развалины которой и ныне возвышаются над городом. Это древнейшая Тбилисская крепость, именуемая «Шурис-цихе» („Крепость зависти»).

«Шурис-цихе» неоднократно подвергалась разрушениям, переделкам и реставрации. Теперь остались только ее развалины; переменилось и название крепости, — эти окрестности ныне называются «Нарикала». Крепостей с названием «Нарикала» в Грузии немало. Некоторые думают, что «Нарикала» обозначает малую крепость, а по мнению других «Нарикала» обозначает неприступную крепость.

С крепости «Нарикала» к р. Куре спускалась вторая стена (заканчивалась она около Метехи). С запада «Нарикала» защищалась сильной крепостью т. н. «Шахис-тахти» («Шахский трон»). С «Шахис-тахти» «Нарикала» соединялась стеной. Развалины «Шахис-тахти» с Комсомольской аллеи и теперь высятся над городом. В VII—IX в.в. в «Шахис-тахти» помещалась обсерватория. С этой обсерватории грузинские ученые наблюдали за движением небесных светил и изучали их.

До середины XVII в. цитадель являлась основным городским политическим и административным центром. Здесь находился Царский дворец, крепостная церковь и др. строения.

Во второй половине XVIII в. в Нарикала были расположены самые важные военные строения города. Сама крепость «Нарикала» была ограждена крепкой стеной. В ней находилось хранилище артиллерийских орудий. Западнее «Нарикала» возвышалась т. н. «Башня царского города», напротив «Тавризская башня». В «Тавризской башне» находилось хранилище пороха, а также водохранилище. В водохранилище вода поступала по каналу из р. Цавкиси. Посредством этой «Тавризской башни» сообщалась «Нарикала» с другим участком городского укрепления, т. н. «Крепостью».

Существует предание, по которому будто бы «Шурис-цихе» построена иранцами для противопоставления мцхетской крепости — древней столицы Грузии, и будто отсюда происходит название ее «Шурис-цихе» («Крепость зависти»).

В IV—V в.в. в этой крепости была резиденция иранского ставленника. После изгнания иранцев здесь была вначале резиденция карталинских царей, а затем—карталинских эрисмтавров. В этой крепости в VII в. грузины выдержали осаду войск византийского императора Геракла и его союзника хазарского хакана, со стен этой крепости высмеивали грузины своего противника.

Тбилисская крепость защищала столицу Грузии от иноземных захватчиков, здесь сосредотачивались главные силы страны. Но и враги старались укрепиться в ней, они ради своих интересов укрепляли и отстраивали ее и отсюда старались распространить свое владычество над грузинским народом.

Много раз защищала эта крепость город от иноземных насильников и спасала городское население от истребления. Последний раз Тбилисская крепость встретила полчища Ага-Магомет-Хана в 1795 г.

Предел нашествия турок и иранцев был положен лишь в 1801 году, когда Грузия была присоединена к России. После присоединения крепость «Нарикала» потеряла свое значение и была разрушена русскими властями. Ныне развалины Тбилисской крепости смотрят на цветущую столицу Грузии, напоминая о ее далеком прошлом.

Автор М. Лордкипанидзе. Редактор З. Дзнеладзе.

Госиздат ГССР Тбилиси
1957

УЭ 01440 Тираж 15.000 Зак. № 415. Цена 75 к

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.